



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA



KA030152088747716

საქართველო, თბილისი 0159; აკწერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი (+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი (+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax: (+995 32) 251 00 19; Hot line: (+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/80263

27 / ოქტომბერი / 2016 წ.

მოქალაქე: ნინო ერეკლიაშვილი

პ/ნ 01017006409

მცხოვრები: თბილისი ლარსის ქ.3, ბინა 27, ტ: 599 26 45 41

ქალბატონო ნინო,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული განცხადების (№104982 2016წ) პასუხად, რომელიც შეეხებოდა რატი გომართელის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საკითხს გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების თანახმად, „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის“ 2016 წლის 21 ოქტომბრის №56 სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რატი გომართელის სამედიცინო მომსახურების 26000,00 ლარით დაფინანსების თაობაზე (ყენევის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, შევიცარია).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს (თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. №144, მე-3 სართული ოთახი N304)

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის საფუძველზე (კომისიის საქმიანობის წესი, მუხლი - 6, პუნქტი - 5¹) „...კომისიის მიერ განცხადების დაკმაყოფილების (ნაწილობრივი დაკმაყოფილების) შემთხვევაში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების/საქონლის მიღება უნდა დაიწყოს საქართველოში არა უგვიანეს 3 (სამი) თვის, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ - არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების/საქონლის დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ითვლება გაუქმებულად. აღნიშნული ვადების ათვლა დაიწყოს კომისიის საოქმოდ გადაწყვეტილების მიღების დღიდან...”

პატივისცემით,

საორგანიზაციო სამმართველოს (რეფერალური მომსახურების კომისია) უფროსი

ხათუნა ჩაჩავა